# ფანტაზია 2000

## დღევანდელი სუპერკროსვორდის მთავარი გმირი






მოგეხსენებათ, ჩვენი რუბრიკა „მსოფლიო კინოს 50 ქალღმერთი" სადაცაა ნახევრად დასრულებული იქნება (დღეს გთავაზობთ მე-19 გამოშვებას); ჩვენი მკითხველების ერთმა ნაწილმა კი ისურვა ქალბატონების პარალელურად კინოს სამყაროს „რაინდებსაც" გასცნობოდა. მართალია, ეს სახელი – „რაინდები" – პირობითია, მაგრამ მთავარი ეს არ გახლავთ, მთავარი ისაა, რომ ჯერ ამ კინომსახიობთა ვინაობა უნდა გავარკვიოთ და დაახლოებით მოვინიშნოთ ის 50 სუბიექტი, რომელთა შესახებაც თანდათანობით ვისაუბრებთ. გაგვიზიარეთ თქვენი აზრი ამგვარი სიის შესახებ – ვინ გიყვართ, ვინ გახსოვთ და ვის იცნობთ... მანამდე კი გეტყვით, რომ ადრიანო ჩელენტანო ამ სიაში აუცილებლად მოხვდება!... უახლოეს მომავალში წარმოგიდგენთ „50 კინორაინდის" ჩვენეულ ვერსიას.



**თარაზულად:** **1**. უძველესი სახელმწიფო, რომლის სახელიც ითარგმნება, როგორც „ღმერთის კარიბჭე“ და რომელშიც მეფე ჰამურაბის მიერ იქნა შედგენილი უძველესი კანონთა კრებული. **4**. ფრანგული სათავადაზნაურო წოდება, რომელსაც იერარქიაში ბარონსა და გრაფს შორის ეკავა ადგილი. **7**. 1516 წელს ცნობილი ინგლისელი მოაზროვნისა და პოლიტ. მოღვაწის, ინგლისის მეფე ჰენრიხ VIII-ის მრჩევლის მიერ დაწერილი რომანი. **13**. შუა სს საფრანგეთის ქალაქი, რომელიც ორლეანის მუდმივი მოკავშირე და ამავე დროს კონკურენტი იყო სავაჭრო გზების დაპატრონებაში. **14**. ის, რაც ერთმა იტალიელმა 1492 წლის 14 ოქტომბერს აღმოაჩინა. **15**. თავდაპირველად ეს სიტყვა ძვ. რომში აღნიშნავდა საპატიო მხედართმთავრის წოდებას, ავგუსტუსის შემდგომ კი მას სხვა დატვირთვა მიენიჭა. **18**. გეოგრაფიული ობიექტი, რაშიც ნაგვის ჩაყრა ძველ ეგვიპტეში სიკვდილით ისჯებოდა. **19**. შუა სს ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში ტყვე, რომელსაც გარიგების გარანტად იყენებდნენ, ჩვენს ეპოქაში კი ეს სიტყვა ერთ საფოსტო გზავნილს ეწოდება. **20**. იგი ჩვ.წ.აღ-მდე II ს. ბოლოს მარმარილოს ზღვის პირას არსებულ ქვეყანაში დაიბადა, ცნობილი კი ჩვ. წ. აღ-მდე 69 წელს მოწყობილ მონათა ცნობილი აჯანყების მეთაურობით გახდა. **23**. რუსული ოქროს მონეტა 10 მანეთის ნომინალით, 1897 წლიდან კი - 15 მანეთის. ამავე სახელწოდების რუსული ბანკი ჩვენს რეკლამებში ისტორიის სახალისო გაკვეთილებს გვიტარებდა. **24**. ხმელთაშუაზღვის ნაპირას 1945 წელს შექმნილი სახელმწიფოს თითოეული მკვიდრი. **25**. ის, ვინც 20 წლის წინ ირანიდან იქნა განდევნილი აიათოლა ჰომეინის მიერ. **30**. ძველფრანგ ჰუგენოტ თავადთა დინასტია, რომელთა წარმომადგენლები „უფლისწულის“ ტიტულით სარგებლობდნენ. **31**. ამორიელ ტომთა წინამძღოლი, რომელმაც 5400 კაციანი ლაშქრით ჩვ. წ. აღ.-მდე XXIV ს-ში შუმერი დაიპყრო. **32**. სიგრძის ერთეული უძველეს სახელმწიფოებში: შუამდინარეთში - 195 მ, საბერძნეთში - 184,98 მ. ჩვენს ეპოქაში კი ამ სიტყვით რისამე განვითარების საფეხურს აღნიშნავენ. **36**. ბურგუნდიის ჰერცოგის შარლის მეტსახელი, ჰერცოგისა, რომელიც მუდმივი მოქიშპე იყო საფრანგეთის მეფე ლუდოვიკო XI-ის. **37**. გერმანული ტომები სახლობდნენ ორი მდინარის მიერ ბუნებრივად შემოღობილ ტერიტორიაზე. ერთი მათგანია რაინი, რომელია მეორე? **38**. ფაშისტურ გერმანიაში schutz-staffel-ის მოსამსახურე. **42**. ფინელებისა და კარელების ხალხური სიმღერა, რომელსაც კანტელეს აკომპანიმენტით ასრულებენ. ამ სიმღერების კრებულს კი „კალევალა“ ეწოდება. **43**. შუა სს იტალიაში წარმოშობილი ცეკვა, რომელიც, თავად იტალიელების თქმით, მწერის ნაკბენმა გამოიწვია. **44**. ესპანელთა ბატონობისაგან გათავისუფლებული ნიდერლანდების მმართველი ვილჰელმ (......) **48**. დიდი მოლდოველი პოეტი და საზოგადო მოღვაწე, პეტრე I-ის მარჯვენა ხელი და მრჩეველი. **49**. რომაელი ისტორიკოსის ტაციტუსის თხზულება. **50**. შლიმანის მიერ აღმოჩენილი უძველესი ქალაქი, რომლის არსებობასაც მის აღმოჩენამდე ჰომეროსის ფანტაზიის ნაყოფად მიიჩნევდნენ. **54**. 1793 წელს საფრანგეთის კონვენტის მიერ დადგენილი რევოლუციური კალენდრის IX თვე. **55**. საქართველოში თამარ მეფის პერიოდში ყუთლუ-არსლანის მიერ ჩამოყალიბებული სახელმწიფო ორგანო. **56**. შუა სს დასავლეთ ევროპაში: ვაჭრებისა და ხელოსნების გაერთიანება, რომელიც იცავდა თავისი წევრების ინტერესებს. **59**. „მთავარი ნედლეული“, რაც იდეოლოგიზირებული სახელმწიფოს შექმნის საფუძველი ხდება. **60**. აშშ-ში სამოქალაქო ომის დროს „სამხრეთის შტატთა კონფედერაციის“ დედაქალაქი. **61**. ერთ-ერთი „უდიდეს ტბათა“ შორის. **65**. რისამე სრულყოფის განსახიერება, ვთქვათ, როგორიც ფაშისტებს არიული რასის ადამიანი მიაჩნდათ. **66**. საბერძნეთის მთიანი მხარე, რომელმაც პოეზიაში მწყემსთა იდილიური ქვეყნის სტატუსი მიიღო. **67**. ფარაონთა სამარხი. **68**. ქალაქი ესპანეთში, არაბთა წინააღმდეგ ბრძოლის ერთ-ერთი საყრდენი პუნქტი. **69**. ის, რაც გამალებით მიმდინარეობდა გერმანიაში ადოლფ ჰიტლერის სათავეში მოსვლის შემდეგ.

**შვეულად:** **1**. საქართველოში ფეოდალური წყობის ერთ-ერთი წარმომადგენელი. **2**. კათოლიკე წმინდანი, რომლის სახელი 1572 წლის შემდეგ სისხლითაა შეღებილი. **3**. ძვ. საბერძნეთის ტერიტ.-ადმ. ერთეული. **5**. მდინარე, რომლის ნაპირებზეც ერთ-ერთი პირველი რუსული დასახლება წარმოიშვა ამერიკის კონტინენტზე. **6** პირველყოფილი თემური წყობილებისთვის დამახასიათებელი ეთნიკური ერთობის და საზოგადოებრივი ორგანიზაციის ფორმა, რომელიც მონათესავე გვარებს აერთიანებს. **8**. საზოგადოებრივი მწუხარების ფორმა, რომელსაც ევროპაში თეთრი, ინდოეთში წითელი, ძვ. იაპონიაში კი იასამნისფერი შეესაბამებოდა. **9**. ის, რისი მინისტრიც ფაშისტურ გერმანიაში იოქეფ გებელსი იყო. **10**. უძველესი სომხური ქალაქი. **11**. ბალახით დაფარული ვრცელი ვაკე, რომელიც, როგორც მე-19 საუკუნეში მცხოვრებმა ინდიელმა ბელადმა აღნიშნა, ერთადერთი სიმდიდრეა, რაც ევროპელმა კოლონიზატორებმა დაუტოვეს ამერიკის კონტინენტის მკვიდრთ. **12**. ქალაქი, რომელიც XIX საუკუნეში არსებული იმ იტალიური სამეფოს დედაქალაქი იყო, რომელსაც საფრანგეთის სამეფოს ბურბონთა დინასტიის წარმომადგენლები მართავდნენ. **16**. ციური სხეული, რომელსაც ბერძნები მცირე ვარსკვლავს უწოდებდნენ. **17**. სამცხის მმართველის ტიტული. **21**. ინდოეთის ოფიციალური ენა, მსოფლიოში ერთ-ერთ უძველესი. **22**. შუა სს ლიტვის სათავადოს დედაქალაქი. **26**. ევროპის სახელმწიფო, რომელიც XIX საუკუნეში შეიქმნა და რომლის მეფეც ვიქტორ-ემანუელი იყო. **27**. ჩანჩქერი, რომელიც ინდიელთათვის რელიგიურ დანიშნულებას ატარებს. **28**. ქართველ მეფეთა სახელი. **29**. პოლიტიკური მოღვაწე, რომლის პარტიული მეტსახელი „კობა“ იყო. **33**. შუა სს ინგლისელ მეფეთა ერთ-ერთი დინასტია. **34**. ვანდალების ბელადი, რომელმაც 476 წელს რომი აიღო. **35**. სოციალისტ-რევოლუციონერები მე-20 საუკუნის დასაწყისში. **39**. 1156 წელს პალესტინაში კარმელის მთაზე დაარსებული კათოლიკური ორდენის წევრი. **40**. ერი, რომელიც უძველესი საბერძნეთის ტერიტორიაზე სახლობდა. **41**. ტერიტორია, რომელიც ესპანეთისა და საფრანგეთის მუდმივი დავის საგანი იყო, სანამ ამერიკის შტატი არ გახდა. **45**. ცომისგან დამზადებული კერძი, რომელიც ნაპოლეონისგან დაპყრობილი მოსკოვის მცხოვრებთა „ციურ მანანას“ წარმოადგენდა. **46**. მდინარე, რომლის ნაპირებზეც სახლდებოდნენ შაჰ-აბასის მიერ გამოგზავნილი ტომები საქართველოში. **47**. გემის ტიპი, რომელსაც მიეკუთვნებოდნენ კოლუმბის „სანტა მარია“ და „ნინია“. **51**. პირველი მსოფლიო ომის დროს გამოყენებულ პირველ ქიმიურ იარაღში გამოყენებული აირი. **52**. შუა სს იტალიაში პირი, რომელსაც ბავშვობაში მოცილებული ჰქონდა სასქესო ორგანოები ხმის შენარჩუნების მიზნით. **53**. ტბა, რომლის ნაპირებზეც, ინკების წარმოდგენით, გარდაცვლილთა სულები სახლობდნენ. **57**. ერი, რომლის წარმომადგენელიც იყო ის, ვინც ჯეიმს კუკს გემო გაუსინჯა. **58**. ქალაქი, რომლის უძველესი სახელი ლუტეცია იყო. **62**. ესპანელი ჰერცოგი, ნიდერლანდებში ესპანეთის მეფისნაცვალი. **63**. ესპანეთის ეროვნული გმირი არაბებთან ბრძოლაში. **64**. შუა საუკუნეების ინგლისში სახალხო თხოვნა, რომელსაც მეფეს აწვდიდნენ განსახილველად.

## ფანტაზიის დიდოსტატები




ფული ჯერ კიდევ ცოტა შემოსდიოდა, მაგრამ ფროიდი გრძნობდა, რომ საქმეს აზრი დააჩნდა. იგი კვლავაც ბევრს მუშაობდა, წერდა წიგნებს და სტატიებს, ერიდებოდა უაზროდ დროის კარგვას და დღეში 20 სიგარას ეწეოდა.

მისი კაბინეტი უკვე სხვაგვარი გახდა: ტახტი, რომელსაც თავთით სავარძელი ედგა... ჟურნალის მაგიდები ანტიკური სტატუეტებით... ნახატი, რაზედაც შარკოს ჰიპნოზის სეანსი იყო ასახული... და მკრთალი განათება. თანდათანობით ფროიდი სხვა დეტალებსაც იგონებდა, რაც ფსიქოანალიტიკოსის კომფორტს უზრუნველყოფდა. აი, თუნდაც ასეთი: სეანსი ძვირი უნდა ღირდეს. „თერაპიის ღირებულება - ამბობს ფროიდი - დიდ ზეგავლენას უნდა ახდენს კლიენტის ჯიბეზე, წინააღმდეგ შემთხვევაში საქმე ცუდად წავა." ამის დასადასტურებლად იგი ყოველ კვირას უფასოდ იღებს ერთ პაციენტს და შემდეგ სასოწარკვეთით შლის ხელებს - ასეთ პაციენტს არაფერი შველისო (...თუ რატომ არ შველიდა, ეს ცალკე საკითხია და საგანგებო თეორიების ღირსია, რასაც ფროიდმა შესანიშნავი გამოკვლევები მიუძღვნა და 1930 წელს გოეთეს პრემიაც დაიმსახურა ლიტერატურის დარგში). ერთი სიტყვით, ფროიდი თავის შრომას მეტად ძვირად აფასებდა და ერთი სეანსისათვის 40 კრონს ანუ1 ფუნტსა და 13 შილინგს ახდევინებდა პაციენტს (ამ საფასურად მაშინ კარგი კოსტუმის შეძენა შეიძლებოდა).

თანდათანობით ფროიდმა თავის ხელობის სხვა საკითხებიც დახვეწა. მაგალითად, სეანსის დრო 45-50 წუთით შემოფარგლა. ბევრი პაციენტი მზად იყო საათობით ელაყბა, მაგრამ ფროიდი მათ გარეთ აგდებდა და ამას იმით ხსნიდა, რომ დროის პრესინგი სწორედ ის უებარი საშუალებაა, რაც მათ დაავადებისაგან იხსნიდა. და უკანასკნელი - მთავარი და ყველაზე მნიშვნელოვანი - ჩაურევლობის, არათანაგრძნობის, გულგრილობის პრინციპი პაციენტის მიმართ. ეს გასაგებიცაა, რადგან თანაგრძნობა დამღლელი და მომაბეზრებელი რამ არის და თავად ექიმის ფსიქიკური მდგომარეობის პირველი საფრთხე გახლავთ. პრაქტიკული ინსტრუქცია კი ასე გამოიყურება: „ფსიქოანალიტიკოსს უნდა შეეძლოს დიდხანს უსმინოს პაციენტს, არ გამოამჟღავნოს არავითარი რეაქცია და მხოლოდ დროდადრო ჩართოს რეპლიკები პაციენტის მონოლოგში. ფსიქოანალიტიკოსმა არასოდეს არ უნდა დააკმაყოფილოს პაციენტი თავისი შეფასებებითა და რჩევებით".

XX საუკუნის დასაწყისში ფროიდმა იგრძნო, რომ ოქროს საბადოს მიაგნო. ფართოდ გავრცელებული ათეიზმი მისთვის კლიენტების არმიას ქმნიდა. ოცნებებში იგი ხედავდა მარმარილოს დაფებს, რაზედაც ოქროს ასოებით დაიწერებოდა მისი ცხოვრების დიადი ფურცლები, მაგრამ დიდება იგვიანებდა. „უკვე 44 წლის ვარ - წერს იგი ერთ-ერთი თავისი მეგობრის, ფლიესისადმი გაგზავნილ მორიგ წერილში - და ვინ ვარ მე? ბებერი ღარიბი ებრაელი, რომელიც ყოველ შაბათს ბანქოზე მკითახაობის ორგიით იქცევს თავს, სამშაბათობით კი ებრაელების საზოგადოებაში ატარებს დროს".

შემობრუნება დიდებისა და ფულისაკენ 1902 წლის 5 მარტს დაიწყო, როცა იმპერატორმა ფრანსუა-ჟოზეფ I-მა ხელი მოაწერა ბრძანებას, რითაც ზიგმუნდ ფროიდს პროფესორის ტიტული მიენიჭა. ეგზალტირებული პუბლიკა ნიაღვარივით მოაწყდა მის სახლს. ფროიდი დღეში 12-14 საათის განმავლობაში მუშაობდა და იძულებული იყო დასახმარებლად ორი ახალგაზრდა თანამზრახველი - მაქს კახანე და რუდოლფ რაიტლერი - მოეხმო. მათ მალე სხვებიც შეუერთდნენ. მცირე ხნის შემდეგ ფროიდი ყოველ ოთხშაბათს რეგულარულად მართავდა თავის სახლში ფსიქოლოგიური საზოგადოების გაკვეთილებს, 1908 წლიდან კი ამ ღონისძიებებს ვენის ფსიქოანალიტიკოსთა საზოგადოება ეწოდა. აქ თავს იყრიდა მთელი დეკადენტური ბომონდი, სხდომებს უძღვებოდნენ არა მხოლოდ ექიმები, არამედ მწერლებიც, მუსიკოსებიც, პოეტებიც, გამომცემლებიც. ძირითადად საუბრობდნენ ფროიდის წიგნების შესახებ, რომლებიც სხვათა შორის წიგნის ბაზარზე ნაკლები წარმატებით სარგებლობდნენ (1000 ეკზემპლარი წიგნისა „სექსუალურობის თეორიის სამი ნარკვევი" 4 წლის განმავლობაში ძლივს გაიყიდა). კრიტიკოსები კი აღფრთოვანებით საუბრობდნენ იმ აკრძალული თემების შესახებ (მეძავობა, პორნოგრაფია, მორალის შერყვნა), რაც დეკადენტური მოძრაობის ინტერესთა ცენტრში იყო მოქცეული, ეს უკანასკნელნი კი ფროიდის მეხოტბენი იყვნენ და ამით დიდ პოპულარობას უქმნიდნენ თავის კერპს.

დიდების ზენიტი კი 1922 წელს დადგა, როცა ლონდონის უნივერსიტეტში კაცობრიობის ხუთი ყველაზე დიდი გენიისადმი მიძღვნილი საღამო გაიმართა, ეს ხუთეული კი ასე გამოიყურებოდა - ფილონი, მემონიდი, სპინოზა, აინშტაინი და ფროიდი. ვენაში, ბერგასის ქუჩის მე-19 ნომერი თითქოს მომლოცველთა მექად იქცაო. ფროიდთან სეანსზე ჩასაწერად წერილები მოდიოდა მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყნიდან და ეს სეანსები უკვე რამოდენიმე წლით ადრე იყო დაგეგმილი. იგი ამერიკაშიც მიიწვიეს ლექციების წასაკითხად და ჰონორარად 10 000 § შესთავაზეს, მაგრამ ფროიდმა იცოტავა და ტურნეს ორგანიზატორები იძულებულნი იყვნენ კონტრაქტის ღირებულება გაეზარდათ.

მოვიდა ფულიც, მოვიდა დიდებაც, მაგრამ ყოველივე ამას აზრს უკარგავდა ის მძიმე სენი, რომლის გამოც ფროიდს 1923 წელს მძიმე ოპერაციის გადატანა მოუხდა. ძლიერი ტკივილები კი მაინც არ მოშორდა და მისი ცხოვრება გაუსაძლისი გახდა. იგი ძლივს ლაპარაკობდა და საკვებსაც დიდი გაჭირვებით იღებდა. მისი პოპულარობა კი უკვე ზღვასავით ბობოქრობდა და ეს მხოლოდ მტანჯველი შეგრძნება იყო სიკვდილთან შეჭიდებული დიდი მეცნიერისათვის. ასე მაგალითად, ჰოლივუდის ცნობილმა მაგნატმა სემიუელ გოლდვინმა 100 000 § შესთავაზა ფროიდს მხოლოდ იმისათვის, რომ მისი სახელი მოეხსენიებინათ ფილმის ტიტრებში, რომელიც კაცობრიობის ყველაზე ცნობილ სატრფიალო თავგადასავლებს ეხებოდა. ფროიდმა მას მრისხანებით განმსჭვალული წერილით უპასუხა და, რა თქმა უნდა, არ მიიღო წინადადება. ასეთივე ხვედრი ერგო გერმანულ კომპანია UFA-ს,რომელმაც თავად ფსიქოანალიზის შესახებ მოისურვა ფილმის გადაღება. 1928 წელს ევროპის ეკრანებზე გამოდის ფილმი „სულის იდუმალებანი". რომლის რეკლამირებისასაც ფართოდ იყენებენ ფროიდის სახელს. ეს ფაქტი ფროიდის განრისხებას იწვევს, იგი ტეხს სკანდალს და კომპენსაციას ითხოვს...

ამასობაში მსოფლიო არენას ფაშისტები ევლინებიან... ბერლინში სახალხოდ წვავენ ფროიდის წიგნებს; მისი ქალიშვილი ანა, რომელიც მამის კვალს გაჰყვა გესტაპოელთა ტყვეობაში ხვდება... ოჯახი ლონდონში გარბის... ჯანმრთელობაც კატასტროფულად უარესდება და 1939 წლის 23 სექტემბერს თავად ფროიდი განსაზღვრავს თავისი სიკვდილის დღეს - მკურნალ ექიმს თავად ავადმყოფის დაჟინებული მოთხოვნის შემდეგ ზიგმუნდ ფროიდის სხეულში მორფის სასიკვდილო დოზა შეჰყავს...

**ტექსტის ქართული თარგმანი მოამზადა ალ.ელერდაშვილმა**




*ჩვენს განცხადებას თემატური კროსვორდების ავტორებთან თანამშრომლობის შესახებ მრავალი პიროვნება გამოეხმაურა; ჩვენ მათ ყველას მადლობას ვუხდით ყურადღებისათვის და ვთხოვთ გაითვალისწინონ, რომ ჩვენს გაზეთს გარკვეული სტილი და მოსაზრებანი გააჩნია კროსვორდებთან მიმართებაში და „აქა-იქ გადაგრეხილ" სიტყვებს კროსვორდად არ მიიჩნევს...*

*ლაფსუსები და შეცდომები, რა თქმა უნდა ჩვენც გვდევს თან, მაგრამ მაინც გვგონია - ჩვენმა გაზეთმა დაიმსახურა, რომ მის გვერდებზე კარგი მასალები გამოქვეყნდეს და... ერთი სიტყვით, კარგი თემატური კროსვორდების (იხილეთ თუნდაც მე-2 გვერდი) ავტორებს კვლავაც ვიწვევთ სათანამშრომლოდ!*

**თარაზულად:** 1. ადამიანთა უწესრიგო ერთობლიობა. 3. კავკასიელი ფერია, აიეტის საყვარელი არსება. 7. წყნარი ოკეანისპირა ქალაქი აშშ-ში, ვაშინგტონის შტატში. 10. ყველაზე გავრცელებული ელემენტი დედამიწის ქერქში ალუმინია... რომელი ელემენტია ყველაზე გავრცელებული მთლიანად დედამიწაში? 17. რა ეწოდებოდა ქალაქ ტვერს 1931-1990 წლებში? 18. დედამიწის სფეროს ცხელი სარტყელი. 19. ოპტიკური მინის ან თვალის ნაკლი. 22. მოსკოვის ერთ-ერთი ღირსშესანიშნაობის დამაარსებელი. 23. როგორი გეომეტრია ისწავლება უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებლებში? 24. არგოსულ თქმულებათა ერთ-ერთი მთავარი გმირი, მიკენის დამაარსებელი. 27. ძველებური ინგლისური ოქროს ფული. 28. ჩვენს მდინარეებში მობინადრე წვრილი გემრიელი თევზი. 29. როგორია ბგერათა შეთანხმება, რომელიც ბგერათა მოუწესრიგებელ ქაოსურ მოზღვავებად აღიქმება. 34. სამამულო ომის გმირი, ჩვენი თანამემამულე, ბატონი ივანე... 35. სამშობლოზე უსაზღვროდ შეყვარებული ადამიანი. 36. რა მცენარეა, სკანდინავიური მითლოგიიის თანახმად, ქვესკნელის, დედამიწის და ცის შემაერთებელი ხე იგდრასილი? 40. რა ჰქვია „ხანუმაში“ დარდიმანციანცს. 41. ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი. 42. ანალიზის ანტონიმი. 43. **იხილეთ ფოტო** და გაიხსენეთ მისი პერსონაჟის სახელი ფილმში „ჭირვეულის მორჯულება“. 48. სიმღერანარევი ტექსტი? 49. კულინარული ნაწარმი, რომელშიც შედის კვერცხის ცილა. 50. მთათა სისტემა, რომელშიც მსოფლიოს უმაღლესი მწვერვალი მდებარეობს. 51. რა ჰქვია მეცნიერულად ენის წარმოშობას და განვითარებას? 55. რა პროფესიისაა „ჭრიჭინაში“, მარინე ფერაძაზე გამიჯნურებული შოთა ნამორაძე? 56. ვინ იყო კაცი, რომელმაც მილიონი ვარდი აჩუქა საყვარელ ქალს? 57. ფრანგი მწერალი, ავტორი ისტორიული რომანისა „პარიზის საიდუმლოებანი“. 62. მთავარი ქრისტიანული მღვდელთმსახურება. 63. ქიმიური ელემენტი, ტუტე-მიწათა ლითონი. 64. დავით ნარინის ბიძაშვილის მეტსახელი. 65. რბილი, ფერადი ფანქარი ფერწერისათვის. 70. მტირალა ხე. 71. გარკვეული წესით განლაგებულ მათემატიკურ სიდიეთა ცხრილი, ერთი თანამედროვე პოპულარული ფანტასტიკური ფილმის „ნათლია“. 72. ლიტერატურისა და ხელოვნების ჟანრი, რომელშიც ასახულია მწყემსების იდილიური ცხოვრება. 73. საწინააღმდეგოს გამოსახატავი წინსართი. 77. ხუროთმოძღვრების ძეგლი საქართველოში, რომელზეც ერთ დროს რუსეთ-საქართველოს სამხედრო გზა გადიოდა. 78. სტატუსი ყოველი პირისა, რომელიც ტერორისტებს უვარდება ტყვედ. 79. საფოსტო გზავნილი. 84. რა შეიძლება იყოს „ჩემი სიყვარული“, თუ მე ძალიან მიყვარს ქართული კინო? 85. ფართოდ გამოყენებული საიზოლაციო მასალა. 86. ამ რომანს ორიგინალში „**Les miserables**“ ჰქვია.. რა ჰქვია მას ქართულად ივანე მაჭავარიანის თარგმანში? 87. რა შედეგი შეიძლება ჰქონდეს ნაყინის უზომო ჭამას? 91. ძაბრისებური ჩაღრმავება ვულკანის თავზე. 92. რა ეწოდება თვითმფრინავს, რომელსაც გააჩნია ბორბლები მიწიდან ასაფრენად და მოწყობილობა წყალზე დასაშვებად? 93. პალტოს ან კაბის ერთ-ერთი ფასონი. 94. გერმანელი ქალბატონი. 99. XX საუკუნეში მოღვაწე ორი სიურრეალისტი ფერმწერის, რენე მაგრიტისა და პოლ დელვოს, სამშობლო. 100. ფაშისტური გერმანიის ერთ-ერთი სამხედრო დამნაშავე. 101. ვინ იყო გიორგი კუჭატნელი არსენა ოძელაშვილისათვის? 102. თუ ამ სიტყვაში ერთ ასოს ჩავამატებთ ვენესუელას დედაქალაქს მივიღებთ, საერთოდ ერთგვარ ჩონჩხს აღნიშნავს.. ჩაწერეთ, თუ მიხვდით. 107. უფლისწულის ტიტული ესპანეთსა და პორტუგალიაში. 108. გონებაჩლუნგობის უმაღლესი ხარისხი. 109. სამუშაო ფართი. 114. პირობა, რომელიც უზრუნველყოფს რისამე წარმატებას. 115. სარძევე ჯირკვლების ანთება. 116. ლითონის ფირფიტა ქამარზე. 117. ორსულობის ხელოვნური შეწყვეტა. 121. ემილ ზოლას რომანი რუგონ-მაკარებზე შემქნილი რომანების ციკლიდან. 122. მრავლისმომთმენი გოლიათი, რომლის მხრებსაც ებჯინება ცის თაღი. 123. არაჩვეულებრივი, თვითმყოფადი, ანუ?



124. ცეცხლის ღმერთი ინდურ მითოლოგიაში. 128. იგივე ოსი. 129. ამ ტერმინს სოციოლოგები ასე განმარტავენ – საზოგადოებაში ადამიანის პოზიცია განსაზღვრული უფლებებითა და მოვალეობებით.. ანუ რა? 130. ფანჯრის ერთგვარი ფარდა. 131. სახელი ქალისა, რომელსაც კონსტანტინე გამსახურდიამ „მთვარის მოტაცება“ მიუძღვნა. 137. აქ კი ქალის სახელი გაიხსენეთ, რომელმაც თეზევსი ლაბირინთიდან გამოიყვანა. 138. ძველი ბერძნული ფულადი ერთეული... თანამედროვეობაში ეს სიტყვა ზებუნებრივ ნიჭს აღნიშნავს. 139. ნაწილი იმ ქალაქის სრული სახელწოდების, რომელსაც თანაქალაქელები „პიტერს“ უწოდებენ. 143. როგორ გამოითქმის ძველ ბერძნულად სიტყვა „წარმოსახვა“? 144. ხელის კონდენციონერი. 145. ფრანც კაფკას ცნობილი რომანი. 146. კარის ერთგვარი საკეტი. 147. ე.წ. „ღმერთების სასმელი“ (...და ფირუზასიც!). 148. რა ერქვა კაკაბაძეს, ყვარყვარე თუთაბერის ლიტერატურულ მამას? 149. ოპიუმის ალკალოიდი, ნარკოტიკი. 150. თქმულება ღმერთებზე.

**შვეულად:** 1. გემოსა და სურნელების ერთობლიობა. 2. ლენინის მიერ შემუშავებული რევოლუციურ-პროლეტალური მოძრაობის თეორია. 4. რა ჰქვია ახლა ყოფილ ცხაკაიას? 5. ძვირფასი ლითონი. 6. სადაური იყო წარმოშობით სალვადორ დალი? 8. რა მდებარეობს აბასთუმანში? 9. ვინ დუმს „უცნობის“ სიმღერაში? 11. ყველასათვის ნაცნობი სიტყვა, რომლითაც ძველი ბერძნები ტრაგედიის დასასრულს მოიხსენიებდნენ? 12. კიდევ რა სიტყვით შეიძლება მოვიხსენიოთ სხვადასხვა ნივთიერებათა ნარევი. 13. ჭრილობის გაუსნებოვნება ნივთიერებით, რომელიც სპობს მიკრობებს. 14. კულინარიაში ხმარებული ბალახოვანი მცენარე. 15. აგნოზიის ერთ-ერთი ფორმა – მეხსიერების სრული ან ნაწილობრივი დაკარგვა. 16. ვასილ ჩხაიძის კინოროლი. 20. 80-იანი წწ რუსი ჩოგბურთელი ქალი, ერთ დროს ლეილა მესხის მეწყვილე. 21. პრივილეგირებული პიროვნება, თუნდაც, დავით კლდიაშვილის შემოქმედებაში. 25. ზევსის მაწოვარა ნიმფა-თხა ძვ. ბერძნულ მითოლოგიაში. 26. ორგანული ნივთიერება, იყენებენ პლასტიკური მასების წარმოებაში. 30. ძველი საქორწინო (ძალდატანებითი) რიტუალის შემადგენელი ნაწილი. 31. ამ საერთაშორისო სიტყვას ქართულ ენაში სინონიმი ჰქონია – ინანთეული... თქვენ ის „საერთაშორისო“ სიტყვა გაიხსენეთ. 32. გადამჭრელი ზომების მიღება თეორიული და პრაქტიკული საკითხების გადაწყვეტაში. 33. უფერო ზეთოვანი სითხე, იყენებენ საღებავებისა და წამლების დამზადებაში. 37. სახელდახელოდ თქმული პატარა ლექსი. 38. ჰაერის შემადგენელი ერთ-ერთი აირთაგანი. 39. ტვირთი, რომელსაც ათავსებენ გემის ფსკერზე მისთვის მდგრადობის მისაცემად. 44. ხელსაწყოების ერთობლიობა. 45. რა შეუქმნა პეტრე I-მა რუსეთს, მას შემდეგ რაც იმოგზაურა ჰოლანდიაში? 46. მოკლენიჩბიანი სპორტული ნავი. 47. ერთი რომაელი იმპერატორის სახელობის თვეთაგანი. 52. რა ერქვა უალკოჰოლო სასმელების ფუძემდებელს, ბატონ ლაღიძეს? 53. შეუაკაცი მოდავე მხარეთა შორის. 54. კისერზე დასაკიდი ავგაროზი. 58. როგორი შეიძლება იყოს სიყვარული? 59. მეტად პოპულარული კინოსერიალის „წვრილ ვარსკვლავთა ღამეს“, პერსონაჟი ბადრის გვარი. 60. 1889 წ 16 აპრილს ლონდონში დაბადებული ჩვენი საუკუნის ერთ-ერთი ლეგენდა. 61. რა ერქვა ქალს, რომლის მოტაცებაც ტროას ომის დაწყების მიზეზი გახდა? 66. მფარველის ერთ-ერთი სინონიმი. 67. შუამავალი მყიდველსა და გამყიდველს შორის. 68. სისხლის სამართლის დანაშაული. 69. სახელმწიფო ცენტრ. ამერიკაში. 74. ბანკში შეტანილი ფული. 75. საჰაერო ფლოტის ერთობლიობა. 76. ზევსის თავიდან დაბადებული ქალღმერთი ძვ.ბერძნულ მითოლოგიაში. 80. ერთ-ერთი დასავლელქართველი. 81. ძველ რომში ამ სიტყვით მოიხსენიებდნენ წვეტიან ჯოხს, რომლითაც საქონელს მიერეკებოდნენ.. რომელ სიტყვაზეა საუბარი, თუ მას ახლა იდეურად იგივე მნიშვნელობა აქვს. 82. სკოლაში შესასწავლი მათემატიკის ერთ-ერთი დისციპლინა. 83. რა არის ნარინჯი? 88. ძლიერი მომწამვლელი ნივთიერება. 89. ქართლის მეფის, ფარსმან I-ის სხვა სახელი. 90. სამთა კავშირი I მსოფლიო ომის დროს. 95. რაიმე ტერიტორიის ძირძველი მოსახლე. 96. კომპოზიტორი, რომელიც სიცოცხლის ბოლო წლებში ბერად აღიკვეცა და ამის შემდგომ სულ სასულიერო მუსიკას ქმნიდა. 97. წყალში მოხარშული ცომი. 98. როგორია ტიპი ქალისა, რომელიც მამაკაცებთან კონტაქტისაგან თავს იკავებს? 103. რობერტ ბოილის გვართან სამუდამოდ დაკავშირებული ფრანგი ფიზიკოსი. 104. ვთქვათ ასე, ერთი ჩვენებური სიტყვით – გარემოხაზულობა. 105. ცოდნის სიმბოლო – სანათი საშუალება. 106. კატა ალ. ტოლსტოის შემოქმედებიდან. 110. პოეტ ტერენტი კვირკველიას ფსევდონიმი. 111. დიდი საზეიმო ხასიათის ვოკალურ-ინსტრუმენტული ნაწარმოები. 112. საკმაზი ხორცის ან თევზის მომზადებული საჭმლისთვის. 113. რომაული თერმების სადგომი ცივი აბაზანებით. 118. ფრანგი მეტალურგი, პიერ... (1824-1915). 119. ფართო მასებზე ზეგავლენის მომხდენი პირი. 120. ეკზოტიკური ყვავილი ზალმან კინგის ერთ დროს მეტად გახმაურებული ფილმის სათაურიდან. 125. ქალაქი ავღანეთში. 126. ხიდისებური ნაგებობა, რომელზედაც გაყვანილია გზა. 127. რა ჰქვია ქალს, რომელმაც მთავარი როლი შეასრულა ფილმში „ბედის ირონია, ანუ გაამოთ“? 132. ის, რისი ხსენებაც ჩამოხრჩობილის სახლში არ შეიძლება. 133. კომედიის მუზა ძვ. ბერძნულ მითოლოგიაში. 134. ჩვენი ისტ. მხარე. 135. ერთგვარი სათვალე. 136. ბავშვის ლაპარაკი. 140. რა არის ძველქართული მანა თანამედროვე ქართულით? 141. დიდი ენათმეცნიერი, ფილოლოგი, კულტურის ისტორიკოსი, ნიკო.... 142. როგორი მოყმე ნახეს წყლის პირს მჯდომარე?





**თარაზულად**: 1. სამაგიდო თამაში. 5. დანაშაულებათა კვლევა-ძიებასთან დაკავშირებული ორგანიზაცია. 13. რა აქვთ საერთო აცრილს და (მაღლა) არჩეულს? 14. ის, ვის გარეშეც ადრე კონცერტი არ იმართებოდა. 15. ახალი სიტყვა ანუ რა? 16. ასე ვთქვათ - „დამნაწილებელი". 18. ზედაპირული ცოდნა. 19. ცნობილი ნავთობსადენის ბოლო პუნქტი. 20. ოლქი იტალიაში, რომლის ცენტრსაც ტურინი წარმოადგენს. 23. სააგიტაციო-პოლიგრაფიული ქმნილება. 28. ლუდმილას ხელის მაძიებელი ერთ-ერთი რაინდი პუშკინის ცნობილ ზღაპარში. 29. ფელინის ფილმი. 31. სილამაზესთან დაკავშირებული ეპითეტი დიდი გამსახურდიას შემოქმედებაში. 33. XX ს ლატვიელი მწერალი. 34. ეტელ ლილიან ვოინიჩის რომანი. 35. XX ს გერმანელი (კომუნისტი) მწერალი, ბრუნო.... 36. ირინეს ვარიანტი.

**შვეულად**: 1. ვინ „იმალება" კროსვორდის უკან (სახელი და გვარი). 2. დიდი ინგლისელი მსახიობი, ჩარლზ.... 3. XX საუკუნის რუსი მწერალი და დრამატურგი. 4. სარკინიგზო მანქანა. 6 ერთ-ერთი უღელტეხილი კავკასიონზე. 7. სანათი საშუალების სახესხვაობა. 8. რა არის ვიბრაცია თავისი არსით. 9. რეალურ საფუძველს მოკლებული მონოლოგი (...შეიძლება საუბარიც). 10. საზ. კვების ობიექტი. 11. ერთ-ერთი კომუნისტური „მეცნიერება", რასაც ყველას გვასწავლიდნენ მე-2-3 კურსზე. 12. შემოწმების მიზნით აღჭურვილი ქმედება. 17. მჩაგვრელი და ერთმმართველი ანუ ვინ. 19. გზებისაგან შედგენილი კონფიგურაცია. 21. ჩვენი კროსვორდის გმირის სამოღვაწეო სფერო. 22. მჭევრმეტყველებას დახარბებული სუბიექტის სამოღვაწეო ადგილი. 24. ძალიან, ძალიან დიდი ძაბრი. 25. ჩვენი ხაჭაპურის სახესხვაობა. 26. ბელორისიის სახალხო პოეტი, პეტრუს.... 27. რა თქმა უნდა, კლდიაშვილისეული პერსონაჟი. 30. ახლა დუმბაძისეული პერსონაჟი ვახსენოთ. 32. რა არის თავის არსით (თუნდაც) მაკკინლი?

# თუ მშვიდობა იქნა, 1 დეკემბერს ფანტაზიის მე-200 ნომერი გამოვა

# ალო „ფანტაზია"

მე-6 ტური 23.X. 18-20 სთ



## ანუ „ვის უნდა 10 ლარი"

**– ტურნირი ჩატარდება 12 ტურად, კვირაში ერთხელ, ორშაბათობით საღამოს 18-20 საათებში.**

**– ყოველ ტურში გამოქვეყნდება 3 სატურნირო და ორი საპრემიო კითხვა. 3 სატურნირო კითხვაზე ზუსტი პასუხის გაცემის შემთხვევაში გამარჯვებული მიიღებს 10 ლარს (რამდენიმე გამარჯვებულის შემთხვევაში ეს თანხა განაწილდება); ორ საპრემიო კითხვაზე პასუხის გაცემა სავალდებულო არ არის, მაგრამ თუ ვინმე ისურვებს ამ კითხვებზე პასუხის გაცემას და ორივეს ზუსტად ამოიცნობს, მიიღებს საპრემიო 10 ლარს ((რამდენიმე გამარჯვებულის შემთხვევაში ეს თანხაც განაწილდება). საპრემიო პასუხები ჩაეთვლებათ მხოლოდ მათ, ვინც 3 სატურნირო კითხვასაც სწორად უპასუხებს.**

**– საპრემიო კითხვებზე ქულა არ იწერება.**

**– მესამე ტურნირის საბოლოო გამარჯვებულს დამატებით მიეცემა კიდევ 10 ლარი.**

**– თანხის გაცემა იწარმოებს ყოველი ოთხი ტურის შემდეგ.**

**– ტურნირში ჩართვა შეგიძლიათ ნებისმიერი ტურიდან.**

**– დაგვირეკეთ - 79-53-70, 8-77 45-19-80**

### გასული ტურის პასუხები და შედეგები

*სატურნირო კითხვები*: 1. და. 2. პენალტი. 3. პრანჭიაობისაგან. *საპრემიო კითხვები:* 1. ჯოკონდა. 2. სიგარეტი მოწია.

სამივე კითხვა ამოიცნეს ნოდარ გოქაძემ, გია ჯვარშეიშვილმა და ივანე ბერიანიძემ; ნოდარ გოქაძემ და გია ჯვარშეიშვილმა ამოიცნეს ორივე საპრემიო კითხვაც.

**12 ქულა: ნოდარ გოქაძე** (13,30 ლარი).

**11 ქულა:** გია წერეთელი (10 ლარი), მერი მამრიკიშვილი (7 ლარი), გია ჯვარშეიშვილი (17,80 ლარი).

**10 ქულა:** სოფიკო დუნდუა (4,50 ლარი), დიანა საღრიშვილი (2 ლარი)

**9 ქულა**: მერაბ წიკლაური (7,50 ლარი)

**8 ქულა**: ვაჟა პაპუაშვილი (2 ლარი)

**7 ქულა**: თემურ აფციაური, ნუკრი მაისურაძე, თამრიკო დამენია.

**6 ქულა:** ნიკოლოზ წიქარიშვილი, ვახტანგ ნანავა (2,50 ლარი).

**5 ქულა:** ივანე ბერიანიძე (3,30 ლარი), ანდრო მჭედლიშვილი, ბაჩანა შენგელია, ნადეჟდა ელიზბარაშვილი. **4 ქულა:** სოსო ნიკოლაშვილი, ვლადიმერ ყაჯრიშვილი. **3 ქულა**: მზია ღვინიაშვილი, გიორგი გვასალია, დათო ჭილიტაშვილი, **2 ქულა**: მარინა ამაშუკელი, ეკა ჩორგოლიანი, ეკა ჩინჩალაძე, დავით ბასილია, ნათია ჩუბინიძე, ლევან ჩიგოგიძე. **1 ქულა**: მარინა ბერიკაშვილი.

### *სატურნირო კითხვები*

#### *პირველი კითხვა*

კითხვა იაპონურ ბაღზე. თუ ევროპული ბაღი არის ბუნება, რომელიც ადამიანის გონებამ გარდაქმნა, იაპონური ბაღი ბუნების სილამაზის ჭეშმარიტი გამოხატულებაა. იაპონურ ბაღში თითოეული მცენარეს სიმბოლური დანიშნულება აკისრია... იაპონელები ამბობენ, რომ: როდესაც შენს ბაღში გადარგავ ფიჭვს, შენ უხმობ ქარს, როდესაც გადარგავ ტირიფის ხეს, უხმობ - ჭრიჭინობელებს, როდესაც გადარგავ ბანანის ხეს, უხმობ - წვიმას... ხოლო როდესაც გადარგავ ყვავილებს, უხმობ...

**რას?**

#### *მეორე კითხვა*

ეს ყველასათვის ცნობილი სიტყვა ძვ.ბერძნული წარმოშობისაა. შემდეგ ის ლათინურ ენაში მოხვდა, იქიდან პოლონურში, საიდანაც რუსულშიც შევიდა და რუსულიდან, სავარაუდოდ, ქართულ ჟარგონში.

**ახლა კი გვიპასუხეთ – რა სიტყვას ხმარობენ პოლონელები „დასვრილი ქაღალდის ნაგლეჯის" აღსანიშნავად?**

#### *მესამე კითხვა*

აშშ-ს ექს-პრეზიდენტმა ჯიმი კარტერმა ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადა -„ელვის პრესლი მე შორეულ ბიძაშვილად მეკუთვნის და რა დასანანია, რომ ეს ინფორმაცია ახლა შევიტყე, ეს რომ მცოდნოდა 1980 წელს მე..."

**დაასრულეთ ჯიმი კარტერის სიტყვები**

### *საპრემიო კითხვები*

***1.*** ეს ნიშანი ინდოევროპელთათვის ოდითგანვე მზის, ნაყოფიერების და ბედნიერების სიმბოლო იყო, ჩვენ კი მასზე საკმაოდ უარყოფითი მოგონებები შემოგვრჩა

**რა ნიშანია ეს?**

***2.*** ლეონარდო და ვინჩიმ, გარდა სხვა ყველაფრისა, შექმნა საფენი, რასაც თავად „ჭუჭყიანი სუფრის ალტერნატივას უწოდებდა"...

**რა იგულისხმება?**



**თარაზულად**: 1. უძველესი სახელმწიფო ახლო აღმოსავლეთში, სადაც უძველესი ეპოსი შეიქმნა. 4. საგანგებო კრება ჟურნალისტებთან. 12. ორკორპუსიანი ნავი. 13. რემუსისა და რომულუსის აღმზრდელი. 14. მოზაიკაში ხმარებული ფერადი კერამიკა. 17. მოპირკეთებაში ხმარებადი მასალა. 18. ერთი დანიშნულების მქონე საგანთა ერთობლიობა. 19. ჩაპაევის შესახებ შეთხზული ანეკდოტების გმირი. 23. ის, რაც უნდა გაეყიდა გლეხს, რათა შემდგომში ეყიდა ქათამი, ერთ ცნობილ ხალხურ ზღაპარში. 24. ერთ-ერთი „დიდ ტბათა“ შორის. 25. ანდალუზიაში აღმოჩენილი ალუმინის სილიკატი. 28. პენალტი ჰოკეიში. 29. როგორი მზეთუნახავია შარლ პეროს ზღაპარში? 30. სიტყვა, რომელიც ქართულში იტალიურიდან შემოვიდა და აღნიშნავს რისამე დასასრულს. 34. ინგლისელი მწერალი, რომელსაც ეკუთვნის გახმაურებული „დრაკულა“. 35. შავი ფერის ნივთიერება, რომელიც შალზე ხახუნით იმუხტება. 36. ფოიე, ვესტიბიული. 40. ის, რაც აკავშირებს ქალსა და კაცს. 41. შუამავალი სავაჭრო ოპერაციებში. 42. უძველესი ისტ. რეგიონი თანამედროვე საფრანგეთის ტერიტორიაზე. 47. ინდოელ ქალთა სამოსი. 48. ის, რისი წელიცაა 2000. 49. აშშ-ს შტატი. 52. ალასკის მაცოცხლებელი მდინარე. 53. ისტ. რეგიონი ესპანეთში. 54. ის, რასაც თავისი არსით წარმოადგენდა „დიდი არმია“. 58. სამხ. ამერიკელი მწერალი, ბილ კლინტონი მისი უდიდესი თაყვანისმცემელია. 59. XX ს. ქართველი მწერალი. 60. ყველაზე ცნობილი უელსელი ფეხბურთელი, მსოფლიო ფეხბურთის ისტორიაში. 64. იზოლდას მიჯნური შუა სს ევროპულ სატრფიალო ნაწარმოებში. 65. ის, რასაც წარმოადგენს სპილენძის მავთული რადიოელექტრონიკაში. 66. (.....) გარიყული, ქართველი მწერალი ქალი. 69. თავბრუ. 70. გონებრივად ჩამორჩენილი სუბიექტი. 71. ზებუნებრივ ძალებთან დაკავშირებული, ანუ როგორი? 75. ომში მოპოვებული ნადავლი. 76. ხელსაწყო, რომელიც რაიმე სამუშაოს ასრულებს. 77. მცენარეთა სამყარო. 82. ოინბაზი, გართობის მოყვარული ბავშვი. 83. მაფიოზური გაერთიანება. 84. სოჭის შემოგარენი, რომელმაც სახელი გერმანელი კომუნისტებისგან მიიღო. 88. შუა სს ევროპაში მძიმედ შეიარაღებული მეომარი. 89. მსოფლიოს ჩემპიონი ჭადრაკში. 90. რიგელი ექსჩემპიონი ჭადრაკში. 93. ქართული მხატვრული ფილმი. 94. რუსი მოთხილამურე ქალი, მრავალგზის მსოფლიო ჩემპიონი. 95. 30-40-იან წლებში ერთ-ერთი პოპულარული საბჭოთა მოღვაწე. 96. ფულის ნიშნების გაშვება ბრუნვაში. 97. დელფოსში აპოლონის ტაძრის ქურუმი-ქალი. 98. ნივთიერება, რომლითაც მდიდარია კარტოფილი.

**შვეულად**: 1. საფრანგეთის მეფე ანრი III-ის მასხარა, გრაფი. 2. სატრანსპორტო საშუალება, რომელიც საქართველოში 1872 წელს გამოჩნდა. 3. თხზულების ერთ-ერთი ფორმა. 5. „საიდუმლო“ ძველგერმანულად. 6. ცოცხალი ორგანიზმის ნაწილი. 7. იუმორით დაწერილი საგაზეთო მოთხრობა. 8. საბერძნეთის ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ერთეული. 9. „ყინულის ქვეყანა“ 10. ატომის ბირთვის შემადგენელი ნაწილი. 11. მოქმედების უნარის დაკარგვა.15. გაბოლების ინვენტარი. 16. თანამედროვე რუსი მომღერალი ქალი, მთავარი როლის შემსრულებელი ფილმში „საფრთხობელა“. 20. ჩრდილოეთ აფრიკაში მობინადრე უძველესი ერის წარმომადგენელი. 21. ის, რაც შეიძლება მოჰყვეს ასანთთან თამაშს. 22. აკვალანგის გამომგონებელი ფრანგი ოკეანოგრაფი. 26. სასკოლო ცდების ერთ-ერთი აუცილებელი სამაგრი ნივთი. 27. წვიმის რეზერვუარი. 31. სიდიდე, რომელსაც მხოლოდ რიცხვითი მახასიათებელი გააჩნია. 32. ფიზიკაში იმპულსთან ერთად ერთ-ერთი შენახვადი სიდიდე. 33. სამართალდამცავი ორგანო საქართველოში. 37. ამერიკელი რეჟისორი. 38. ავტორი წიგნისა: „როგორ მოვიპოვოთ მეგობრები და როგორ მოვახდინოთ ზემოქმედება ხალხზე“. 39. მიუნჰენის „ბაიერნის“ ფეხბურთელი. 43. სამეცნიერო-კვლევითი მოღვაწეობისთვის მოსამზადებელი განყოფილება. 44. ზღვის ფსკერზე მობინადრე თევზი. 45. ქვაბების შეკეთების ოსტატი ძველ თბილისში. 46. ქიმიური ელემენტი. 50. სამი ევროპული ქვეყნის გაერთიანება მე-20 საუკუნის 10-იან წლებში. 51. თუ გაიხსენებთ რუსეთის იმპერატრიცა ეკატერინე II-ის გერმანულ ტიტულს, მაშინ ადვილად ჩაწერთ ამ გერმანული რეგიონის სახელს. 55. კომპიუტერული მოწყობილობა. 56. გალილეო გალილეის მიერ ფორმულირებული სხეულის ფიზიკური თვისება. 57. მხატვრის ინვენტარი, საღებავების შესარევი დაფა. 61. ძველი ევროპული ფული. 62. ორი საბჭოთა მწერალი ძმის გვარი. 63. მიხაილ ლერმონტოვის დრამა. 67. საფეხბურთო ამპლუა. 68. ჰუნების ლეგენდარული წინამძღოლი. 72. არსება, რომლის გამოცანაც ოიდიპოსმა ამოხსნა. 73. XIX-XX სს. მიჯნაზე მცხოვრები რუსი პოლიტიკური მოღვაწე, რომელმაც სახელი თავისი რეფორმებით გაითქვა. 74. ალექსანდრე ფლემინგის მიერ აღმოჩენილი ანტიბიოტიკი. 78. ქალაქი ესპანეთში. 79. ქვეყნის პარლამენტში დეპუტატთა საკმარისი რაოდენობა, საჭირო კანონის მისაღებად. 80. მუსიკალური ინსტრუმენტი, რომლითაც მხატვრები ღრუბლებზე მობინადრე ანგელოზებს გამოსახავენ ხოლმე. 81. მე-20 საუკუნის ქართველი პოეტი. 85. აშშ-ს პრეზიდენტიც და ჟიულ ვერნის პერსონაჟიც. 86. ვინ იყო სულით დონ კიხოტი? 87. თბილისის უბანი. 91. ჭადრაკის ფიგურა. 92 გამარჯვების ქალღმერთი.



1. დამხმარე ინფორმაციის გადაცემა მოშორებულ მანძილზე (**2**). 2. XVII საუკუნის ფრანგი მწერალი-მორალისტი, რომლის გამონათქვამებსაც ხშირად ვხვდებით „ფანტაზიაში“ (**6**). 3. მაგდენად, მაგ დონეზე ანუ... (გაიხსენეთ - „ვარდსა ჰკითხეს...“) (**5**). 4. სტენდალისეული ქალაქი იტალიაში (**5**). 5. მოვლენა, რამაც ზურაბ ანტონოვს პიესა დააწერინა (**5**). 6. მაღალი და ტანადი ანუ როგორი? (**3**). 7. მძიმედ შეიარაღებულ ქვეითთა საბრძოლო წყობა ძველბერძენთა არმიაში (**9**). 8. წინსართი, რომელიც ყველა მსახიობისათვის სასურველია მისი გვარის წარმოთქმამდე (**3**). 9. ფეხით განხორციელებული აგრესიული ქმედების სახესხვაობა (**2**). 10. ვინ არის თითოეული მათგანი, რომელთა ცხოვრებაც წარმოაჩინა შალვა დადაიანმა თავის ცნობილ პიესაში? (**8**). 11. ლიტერატურული (ან სხვა ტექსტების) კრებული (**5**). 12. რუსი მწერალი, რომელსაც ძალიან უნდოდა, რომ ვასილ ჩაპაევი გმირად წარმოეჩინა შთამომავლობისათვის (**7**). 13. ნაკლები ძალის მქონე აკუსტიკური ეფექტის სახესხვაობა (**3**). 14. გამდინარე წყლის მცირე ნაწილი (**3**). 15. სიტყვის ნაწილი, რომელიც სიტყვას მნიშვნელობას უცვლის გრამატიკული სახეცვლილებისას (**10**). 16. დანაშაულებრივი დაჯგუფება (**5**). 17. რა არის თავისი არსით მეკონგი? (**6**). 18. ძალა, ღონე, ილაჯი... კიდევ? (**3**). 19. ჩეხური წარმოების მსუბუქი ავტომობილი (**5**). 20. თვისება, რომლის გამოსახატავადაც იგავი „კუ და მორიელი“ შეიქმნა (**4**). 21. ქართული ფოლკლორის ყველაზე უიღბლო მიჯნური (**4**). 22. სახელი, რომელიც ერქმევა ფარატინა ქაღალდს, თუ მასზე რაიმე მნიშვნელოვანი წერია (**2**). 23. სასუნთქ ორგანოებთან დაკავშირებული მძიმე სენი (**3**). 24. „ფილუმენა (......)“ - ანუ სოფი ლორენის ცნობილი გმირი (**10**). 25. არსება, რომლის სიბრძნეშიც ეჭვი არ ეპარებოდა თავად ვაჟა-ფშაველას (**3**). 26. გრაფიკულ ნაწარმოებთა უმდიდრესი კოლექცია ვენაში (**10**). 27. რუსი მხატვარი-პერედვიჟნიკი, რეალისტური მიმართულების ერთ-ერთი ფუძემდებელი (**9**). 28. გაპენტილი მატყლის მცირე ნაწილი, რაც სიმბოლურად მცირე ღრუბელსაც ჰქვია (**7**). 29. ხმელთაშუაზღვის „ისტორიული“ კუნძული (**4**). 30. რა ერქვა ბატონ კობახიძეს, 30-40-იანი წწ რუთაველის სახ. თეატრის მსახიობს? (**4**). 31. მსახიობი, რომელიც ერთ-ერთ მთავარ როლს განასახიერებს ფილმში - „შესანიშნავი შვიდეული“ (**6**). 32. საკურორტო დაბა სოჭის სიახლოვეს (**4**). 33. ის, რაც მხოლოდ მღვდელს შეიძლება შეეშალოს (**4**). 34. უვიცი და უზრდელი ანუ? (**2**). 35. მორუაც, შენიეც და ბევრი სხვა ფრანგიც (**4**). 36. სარაინდო რომანების ერთ-ერთი ყველაზე დიდი ოსტატი მსოფლიო ლიტერატურაში (**4**). 37. ვარსკვლავთმრიცხველი - თანამედროვე ენით (**4**). 38. პოპულარული საკოსტუმე ქსოვილი არც ისე ახლო წარსულში (**6**). 39. ვიზუალური ინფორმაციის შემყვანი კომპიუტერის მეხსიერებაში (**7**). 40. ქართლური წარმომავლობის ღვინო (**3**).

***ქულათა საერთო რაოდენობა - 200***

***პასუხები იხილეთ მე-14 გვერდზე.***

**01-40 ქულა** - დამწყები კროსვორდისტი

**41-80 ქულა** - მეორეთანრიგოსანი

**81-120 ქულა** - პირველთანრიგოსანი

**121-160 ქულა** - ოსტატი

**161-190 ქულა** - დიდოსტატი

**191-190 ქულა** - ბრავო, მაესტრო!

**200 ქულა** - კროსვორდი თქვენ შეადგინეთ?




| | | | |
|---|---|---|---|
| 1 | | 21 | |
| 2 | | 22 | |
| 3 | | 23 | |
| 4 | | 24 | |
| 5 | | 25 | |
| 6 | | 26 | |
| 7 | | 27 | |
| 8 | | 28 | |
| 9 | | 29 | |
| 10 | | 30 | |
| 11 | | 31 | |
| 12 | | 32 | |
| 13 | | 33 | |
| 14 | | 34 | |
| 15 | | 35 | |
| 16 | | 36 | |
| 17 | | 37 | |
| 18 | | 38 | |
| 19 | | 39 | |
| 20 | | 40 | |

# აფორიზმების ანთოლოგია

**820**. ბევრი ცოლი არ უღალატებდა ქმარს, შურისძიების უფრო დახვეწილი ხერხი რომ იცოდეს.

**იუზეფ ბულატოვიჩი**

**821**. ნაღალატები ქმარი ყველგან ნაღალატებ ქმრებს ხედავს.

**მარსელ პრუსტი**

**822**. რქებდადგმული ქმრების რიცხვი ბევრად ნაკლებია, ვიდრე იმედგაცრუებული ცოლებისა.

**ჟაკ დერვალი**

**823**. ქალი ისეთი დახვეწილი არსებაა, რომ ქმრის შეცოდებას ღალატამდე რამდენიმე დღით ადრე იწყებს.

**კორნელ მიკუშინსკი**

**824**. ღალატას უფრო მეტი სიავე მოაქვს, ვიდრე ქორწინებას - სიკეთე.

**ონორე დე ბალზაკი**

**825**. კაცი სანამ ცოლიანი, მას შეიძლება ჰქონდეს ორი, მაქსიმუმ - სამი, სატრფიალო ურთიერთობა „განზე“, ამაზე მეტი უკვე ღალატია.

**ივ მონტანი**



**826**. ცოლი მეუბნება, რომ მას არ აინტერესებს, თუ რას ვაკეთებ, როცა სხვა ქალაქში ვარ წასული იმ პირობით, თუ ეს მე სიამოვნებას არ მომანიჭებს.

**ლი ტრევინო**

**827**. ეჭვის შეტანა ქალის პატიოსნებაში გამოწვეულია მათი ღალატით კი არა, არამედ ჩვენი საკუთარით.

**სტანისლავ ვაპნიაკი**

**828**. თუ ცოლმა გიღალატა, ბედნიერად უნდა ჩათვალო თავი, რადგან მან გიღალატა შენ და არა სამშობლოს.

**ანტონ ჩეხოვი**

**829**. ღალატი სიკვდილივითაა - მას ნიუანსები არ გააჩნია.

**დელფინა ჟირარდენი**

**830**. ცოლმა თუ გიღალატა, არასოდეს იკითხო, რიგით მერამდენე ღალატი იყო ეს, თუ არ გსურს საბოლოოდ შეგძულდეს ცხოვრება.

**იუზეფ ბულატოვიჩი**

**831**. მე მოწყენილი ვიყავი და ამით დაიწყო ყველაფერი, მასთანაც მომწყინდა და ამით დამთავრდა ყველაფერი.

**ალექსანდრე დიუმა-შვილი**

**832**. მე შენ ყველაზე მეტად მიყვარხარ, მაგრამ მჭირდება სხვა ქალები, რათა ამაში ხშირ-ხშირად დავრწმუნდე.

**უცნობი ავტორი**

**833**. იმისათვის, რომ კაცს ღალატისაკენ უბიძგო, საკმარისია ცოლად გაჰყვე მას.

**ეჟი ვიტილინი**

**835**. ვსვამ რიტორიკულ კითხვას - რა უნდა ქნას კაცმა, როცა იგი საკუთარ საძინებელში შეუსწრებს თავისი ოჯახის მეგობარს უცხო ქალთან?

**სტანისლავ ეჟი ლეცი**

**836**. ვინც ქმრის შეცვლას ცდილობს, ქმრის სანაცვლოს ნახულობს.

**უცნობი ავტორი**

**837**. კაცი ეჭვიანობს თავის წინამორბედებზე, ქალი კი მათზე, ვინც მის შემდეგ იქნება.

**მარსელ აშარი**

**838**. ეჭვი სიყვარულთან ერთად იბადება, მაგრამ ყოველთვის არ კვდება მასთან ერთად.

**ფრანსუა ლაროშფუკო**

**839**. *არასრულფასოვნების კომპლექსი* - გგონია, რომ ცოლი ყველა კაცთან გღალატობს; *განდიდების მანია* - გგონია, რომ ცოლს მხოლოდ შენ უყვარხარ.

**იუზეფ ბულატოვიჩი**

# სკანდინავიური

პ ა რ ა ს კ ე ვ ი



„ფანტაზიის" რედაქტორიც

გოდორი

იტალიის მდინარე

(......) ხვიჩია

(......) მარსო

მაკრატელი

(.....) ფოისტვანგერი

ჩვენი ქალაქი

ირინე

